ISSN 0132-0015

ნიანგი

1
83

ნახ. ლადო ზამბაკიძისა

— რა არის ეს, ჩვენმა დირექტორმა ქსოვა რომ დაიწყო?!
— აბა, რა ქნას? — ღვინოს ეგ არ სვამს, არ ეწევა, დომინოს, ჭადრაკისა და შაშის თამაში მაგან არ იცის, კროსვორდებს მაგი ვერ ხსნის და ხომ უნდა გაირთოს რაღაცით თავი?!.

ჩემო ძვირფასო მკითხველებო!

მე — ნიანგი — სატირის და იუმორის ჯარისკაცი —
ათასმაგი სიხარულით მობრძანებას შევხვდი ამ
წლის! —
გავიზარდე, მოვიმატე მოკითხვით და ნახვის ნატვრით!
იგივე მაქვს ამოცანა და იგივე დამრჩა ფასიც!
მეტ მასალას მოგაწოდებთ და ვიქნები უფრო ბასრი!
ანტიპოდთა დასალახვრად ამ ფორმატით ვივლი აწი!
ისევ ძნელი გზა მექნება, — მოფენილი ეკალ-ქაცვით!..
გთხოვთ, მომწეროთ შენიშვნები, სურვილები —
თქვენი აზრი!

ნიანგი

ნაკვესები

● ყველაფერს უფრთხოდა და თავი ფრთხილ ადამიანად მიაჩნდა.

● უფროსებს ჯერ სათქმელს უგებდა უსიტყვოდ, მერე — მახეს.

● მოზინადრე ყელამდე წყალში იდგა და მაინც იძახდა: რა წყალში ჩავვარდეო?!

● სინდისიც კარგი საქონელიაო, ამბობდა და მასაც უსინდისოდ ჰყიდდა.

● არაფერზე აწუხებდნენ, რადგან არაფერი აწუხებდა.

● ხელქვეითთაგან თავს შორს იჭერდა და თავდაჭერილ კაცად თვლიდნენ.

ა. გურული

[illegible] თოვლის ბაბუის

„ჟიგულების“ პატრონებო,
ნუ დამკოდავთ შიგ გულში! —
თუ „ჟიგულის“ ლუდი გისვამთ, —
ნუღა ჯდებით „ჟიგულში“!

ნურც ნასვამი დაჯირითობთ
და ნურც — ნაბახუსევზე:
მკვდარს ცოცხალი მირჩევნია, —
თუნდაც იჯდეს ურემზე!..

●

უნდა თავი დავანებოთ
ქურდობას და ტაციობას!
ქელეხებს და „სახლის ხურვას“,
დისერ-დესერტაციობას!

ჩაი კრიფეთ! ვაზი სხალით!
ისწავლეთ და ოფლი ღვარეთ!
და, რომ მოვკვდე — გაის ამ დროს—
ყვავილები დამაყარეთ!

ნაძვის ხეზე ჩამოჰკიდეთ
ახალი წლის ეს ბრძანება!
მისი შეუსრულებლობა
ყველას, ყველას ეკრძალება!

ტია-ტია

ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორესკა

— ალო! ალო! ქალიშვილო! მამაზეციერი ვარ, ეშმაკთან დამაკავშირე ერთი!

— ...

— ვიცი, ეშმაკი და ჯანდაბა რომ ხარ!.. რას მიშვრები, შე ოჯახქორო?!. რატომ გაგიშვი მანდ?!.

— ...

— ამოიღე ხმა! რამ ჩაგიგდო ენა მუცელში?!

— ...

— ამოიღე ხმა, შე მართლა სატანა და ეშმაკის კერძო!.. ამიტომ გაგიშვი საქართველოში?!. თუ ხარ გონს?!. რას მიშვრები, ბიჭო?!. აგერ, დღევანდელი გაზეთი მიჭირავს ხელში!.. წყალში გადამიყარე ხომ ამდენი კოკისპირული წვიმა და სეტყვა?!. მერე რა ხოშკაკალაა?! ამდენი სეტყვა არასდროს გამომიყვია საქართველოსთვის! სხვებს დავაკელი! მომავალი წლის ფონდიდან გადმოვრიცხე ორასი მილიარდ ხუთას ოთხმოცდაცამეტი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი კვერცხისოდენა ხოშკაკალა!.. როდის იყო, ბიჭო, დასავლეთ საქართველოს ვსეტყვავდი?!. არაფერმა გიშველა მაინც!..

— ...

— მე მეკითხები რა ქნაო?!. რისი ეშმაკი და მამაძაღლი ხარ, თუ არ იცი რა უნდა ქნა?!. რატომ გაგიშვი მანდ, რა ღმერთი გამიწყრა?!.

— ...

— რა იღონე, ბიჭო?! არ გადამრიო! არც ელვამ გაჭრა! არც მეხმა!.. ო, რას ვუნათებდი სეტყვას?!ო, როგორ ვაჭირვეულებდი ამინდს?! ყარაყუმის უდაბნოს ნალექს დააკლებს კაცი?!. რას მიკეთებ, შე ღდინძაღლო?! არ დარჩენილა მდინარე საქართველოში, კალაპოტიდან რომ არ ამომეგდო! მარტო ყვირილას რა ვაქნევინე, ბიჭო?!. რას მიკეთებ, შე არამზადავ. მანდ?!. რაში გიხდი ამხელა ჯამაგირს?!. ამოიღე ხმა! გამეცი პასუხი!.. ოღონდ საქართველოში გამიშვი, ამას ვიზამ, იმას ვიზამ, მრავალეროვანი ქვეყანაა, ხალხს ერთმანეთს შევაჭმევინებო!.. ეს არის, ბიჭო, შენი პირობა?!.

— ...

— რაო, ყველა ენა არ ვიციო?!.

— ...

— ისწავლე, შე ოჯახაშენებულო, რა გიშლის ხელს?!.

— ...

— რას ჰქვია, ვერ სწავლობ?!. ჩინური იეროგლიფები ისწავლე! გერმანულად რაკრაკებ! ინგლისური ხომ იცი და იცი! არაბული გინდა, სპარსული გინდა! არ ვიცი, კიდევ სად არ ურევ ხელს!.. რომელი ერთი ჩამოვთვალო!.. ცხრა მკვდარი ენა იცი, მარტო, შე მართლა პატრონმკვდარო! იმის ნაცვლად, ძალა რომ წაგერთმია, თბილისის „დინამო“ ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი გახადე! ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგას დაუბრუნე!.. რა გამიკეთე, ერთი, ამ ხნის მანძილზე?!

— ...

— ხმა ჩაიკმინდე! ჭორებს ავრცელებ, თორემ, სჯერა შენი ჭორებისა ვინმეს?!. მოჭადრაკე ქალებსაც ვერ მოერიე, ვერ დაუფრთხე ანგელოზები!.. მწერლებთან და არტისტებთან რომ დიდს ვერაფერს გააწყობდი, ქე ვიცოდი, მარა იმას როგორ ვიფიქრებდი, მთელ მსოფლიოს მოედებოდნენ?! რამდენი მაქვს სათქმელი, შე ღმერთძაღლო, შენა! ნაცვლად იმისა, სოფელი გექცია უდაბნოდ, უდაბნოში ააშენებინე სოფელი! ძლივს გავთიშე მთა და ბარი ერთმანეთისგან, შენ კიდევ გულხელდაკრეფილი შეჰყურებ მთებში გზების გაყვანას!.. კარგი, თუშეთს თავი დავანებოთ, ახალი ჩასული იყავი!.. ხევსურეთი?! შატილი როგორ გაუშვი ხელიდან?! ამდენი შრომის გმირი არასოდეს ჰყოლია საქართველოს! სახალხო დღესასწაულებსა და ზეიმებს არ აკლდები თურმე!.. გაგიტკბა, ხომ?!

— ...

— რაო, რაო?! მეკაფიავები კიდეც, ხომ?!. მე შენ გიჩვენებ კაფიას!.. ალო! ალო! ალო!..

მოისმინა ნომადი ბართაიამ

ნახ. ბ. ფირცხალავასი

ნახ. მ. აბაშიძისა

ვადაზე ადრე

ჰოი რომ ვუსურვებთ
სხვადასხვას

- **ვაიხელმძღვანელებს** — დაქვეითების გარეშეც დაახლოებოდნენ თავიანთ ხელქვეითებს!
- **მლიქვნელებს** — თავმოყვარეობა გაღვიძებოდეთ!
- **ჭორიკანებს** — მხოლოდ კარგი ამბები გაეგოთ!
- **პატივმოყვარეებს** — საკუთარ თავში ნაკლი დაენახოთ, სხვაში — ღირსება!
- **გრაფომანებს** — ახსოვდეთ, რომ პატივმოყვარეობით თავმოყვარეობას იბღალავენ!
- **ურჩ დიასახლისებს** — საახალწლო სუფრა მაინც გაეწყოთ!
- **ეპიგონებს** — მხოლოდ საკუთარი თავისთვის მიებაძოთ!
- **პროვოკატორებს** — საკუთარ ხაფანგში გაბმულიყვნენ!
- **ჩამორჩენილებს** — ახალ წელს წელში გამართულნი შეხვედროდნენ!
- **სტაჟიან აბიტურიენტებს** — სტაჟის გაწყვეტას!

ალმანზორ თავაძე

ინტერვიუ პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძესთან

— ბატონო ირაკლი, როგორც აფრასიონ კინწურეიშვილი, რატომ აღარ აქვეყნებთ იუმორისტულ ნაწარმოებებს?

— დიდი ხნის წინათ მართლაც ვთანამშრომლობდი ჟურნალ „ნიანგში“ ფრანსუა ყინწვისელისა და აფრასიონ კინწურეიშვილის ფსევდონიმებით. ამ ჩემმა „ორეულებმა“ რომ შემატყვეს, სხვა საქმეებმა გამიტაცეს, ერთ მშვენიერ დღეს გამებუტნენ, შემომწყრნენ!

— თქვენს ზეპირ იუმორს თუ აგროვებთ?

— არ მიცდია.

— როდის არის იუმორი საჭირო?

— ყოველთვის, თუკი იგი ჭეშმარიტი და ადამიანურია, იუმორი ჭირშიაც საჭიროა, თუ შიგ ცრემლიც ურევია!

— იუმორთან ხუმრობა თუ შეიძლება?

— ნამდვილი იუმორი სახუმარო საქმე არ არის!

— იუმორში შეჯიბრება რომ გაიმართოს, საქართველოს რომელ კუთხეებს გააპაექრებდით?

— გურიას ვაპაექრებდი საქართველოს „ნაკრებთან“!

— თქვენს პოეზიას თქვენი სახელი ადიდებს თუ გვარი?

— ჩემი გვარის პოეტები და მწერლები საქართველოში, საბედნიეროდ, ბევრნი არიან, ამ ბოლო დროს მით უფრო მომრავლდნენ.

— რატომ ხუმრობენ ადამიანები?

— ხუმრობა ადამიანურია და ხუმრობაშია ადამიანურობა!

— რატომ არ არის საქართველოს მწერალთა კავშირში სატირისა და იუმორის სექცია?

— ასეთი სექცია მართლაც უნდა იყოს, მით უმეტეს, სატირასა და იუმორში ნაცადი მისი დღევანდელი ახალი ხელმძღვანელობის დროს.

— განმეორება ცოდნის დედააო! — რა აზრისა ხართ ამ გამოთქმაზე?

— განმეორება ცოდნის დედაა, მხოლოდ არა ლიტერატურაში! ამ ბოლო დროს, ამბობენ, ზოგიერთმა მწერალმა თუ ლიტერატორმა ცოდნის დედად განმეორება, ანუ პლაგიატობა მიიღო.

— ხუმრობას თუ აქვს საზღვარი?

— აქვს, უსათუოდ აქვს! ხუმრობის საზღვარი იქ მთავრდება, სადაც უგერგილო ტვინის ჭყლეტა იწყება. ხუმრობას საზღვარი მხოლოდ სიმაღლეში არ გააჩნია. მეც ამ უსაზღვროებას ვუსურვებ იუმორის ყველა მსახურს!

— როდის აღადგენთ ჟურნალ „ნიანგში“ თანამშრომლობას?

— ჩემთვის გვიანი ხომ არ არის?

— რასა ბრძანებთ! თქვენთან ამ ინტერვიუთი „ნიანგში“ თქვენი თანამშრომლობა აღადგინეთ და ეგ არის! მომავალ სტუმრობამდე, ბატონო ირაკლი! გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!

— გმადლობთ!

ინტერვიუ აიღო **ავთანდილ ადეიშვილმა**

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დალოცვილ, სვებედნიერ ახალ წელს
ვინატრებდი, ასწაული ხდებოდეს:
დეფიციტი საქონელი, დღეიდან,
თავისუფლად, დახლზე იყიდებოდეს!..

გამყიდველი, შენიშვნა თუ მიეცი,
სირცხვილისგან ოფლად იწურებოდეს!..
უმაღლესში აბიტურიენტები
უბიძოდ და უმამიდოდ ხვდებოდნენ!..

ზრდილი ვაჟი საუბრობდეს გოგოსთან,
ამ დროს გოგო მორცხვად ინაზებოდეს!..
დირექტორი, თავისთან თუ მიგიღო,
ხელს გართმევდეს, ღიმით იბადრებოდეს,

არ ყვიროდეს, ან არ დუმდეს გულცივად
და ჯიბეში ვალიდოლს არ წვდებოდეს,
ტელეფონზე ვინმეს არ ურეკავდეს,
გიამენდეს და შენს სათხოვარს ხვდებოდეს!..

ავტობუსში, სკამა გართხმული მუტრუკი,
დაბრძანდითო, მოხუცს ეხვეწებოდეს!..
შვილი, უკვე მოსწრებული ვაჟკაცი,
მამამისის კისერზე არ ჯდებოდეს!..

მთის სოფლიდან ჩამოსული სტუდენტი
ოჯახს, მშობელს იაევ უბრუნდებოდეს!..
თუკი ვინმე სახლში ავად გაგვიხდა;
აფთიაქში ლაღად შეგვეცვლებოდეს,

ბინტი, ბამბა, თერმომეტრი, წამლები
უნაცნობოდ, იაე იშოვებოდეს!..
კლინიკაში, დისპანსერში სნეული
ურიგოდ და უნაცნობოდ წვებოდეს!..

ტელეფონი, როკა ყურმილს აიღებ,
რადიოში ხშირად არ ირთვებოდეს,
ხმის მაგივრად, ჯაზის რიტმს არ უსმენდე
და ვიღაცა სიცილით არ კვდებოდეს!..

მეზობელი მეზობლების ბინაში
ეპვით, შურით აღარ იცქირებოდეს!..
ეგოისტი, ბოროტი და ავყია
ბოღმითა და შურით გულზე სკდებოდეს!..

კაცის სიტყვას ფასი ჰქონდეს კაცური
და ტყუილზე არვინ იფიცებოდეს!..
ჩვენი მტერი ჩვენს საძრახის საქმეზე
სიცილისგან აღარ იფხრიწებოდეს!

ვანო ციცაძე

„ედელმანის თვალწარმტაცი კუთხე" შეხვდა ოთხმოცდაათს! —
ზეიმია ჩვენს მამულში, — როგორც არსად! როგორც არსად!
მეგობრებო, მოგილოცავთ მობრძანებას ახალი წლის!
იმდენი მაქვს დღეს სათქმელი, რომელი ვთქვა, აღარ ვიცი!
ყველაფრისთვის — გაზრდილიც კი — არ ვიქნები საკმარისი!
ყოფილიყოს, დე, ეს ნული ზღვა დიდების, ზღვა ხალისის!
სამოცი წლის ზეიმი აქეს ხალხთა ძმობის ურჯეულ კავშირს!
სადღა ნახავ ლაგბა კელბაკაცს — თავნაფიფიელს გუთნა-კაებში?!
გულთა შორის ეს კავშირი ვადღეგრძელდოთ — სამოცი წლის!
სნორედ მისით გადადგირმა ჩვენი ენა, ჩვენი სიხსნელ!
მგზავს და მომმდგრს მოსასავთ, განა, თავი ნაკუფლენენ?!
სიმშვიდეა ჩვენს მამულში, აღარ ორი საუკუნე!
ზეიმისთვის ვემზადებთ, სიმს ვუსინჯავთ ჩანგს და ჭუნრს,
ამის გარდა, კიდევ გვაქვს სტუმრებისთვის საცხე ჭური!
ღირსეულად დაგეფიქ და გარდაგხენის ათნლეულეს!
შემომაგა საქართველოს მარადგამძლე განძეულნ!
ჩანთა და ბარეულეულთან — ზეცამდე ვართ ანეულნნ!
სამმაბალეგ სამმეფო აკვანი გვაქვს დარწეულეთ!
ბოდიშს ვიხდი თქვენთან, მაგრამ თუ კიდევ გვეყავს ანტიპოდი,
გიგაგრეკვე მას სუფრიანად და მოეუხდი ანტიბოდიშს!
საქართველეთ ვადღეგრძელთ — ის გეიდეგრძეს, იგი ეკნამდეს!
საქართველოს გაუმარჯოს! — გამრავლდეს და გადადდეს!
ძველისძველი ჭრილობები, როგორც იქნა, მოვიშუშეთ!
„ქმამალთ" და ზეველშერენთ მოვამეურო ზაკელ, თუშეთის!..
მთას, უეულოდ მიბოგებულს, სიმნრო ^ ალარ ამორგინეს!
როგორც იქნა, გამაუჩნდათ ხვეიბერი აჩხატიკენეს!
ლამის სმისგან გაგეკრა სიქა! — კვლავ ადეთ ლუი ნიქამ!
მთების დღეგრძელობისათვის კვლავ გაიგეო აროთ ჭიქა!
მხოლოდ შენ ერის, საქართველოო! — მთაშიც, ბარშიც, ჰქაც,
ოქაც!

შენს დიდებას გაუმარჯოს და შენს გვირგვინს — ოქროს ჯიღას!
გაუმარჯოს დიდ მომავალს თუშეთის და ხეფსურეთის —
დასახლების, გასახლების ქართველ ხალაბნ შეცეუნებულს!
ჩამოთვლისას, მეგობრებო, დამაკონწყდეს, ენიცოცას! —
თქვენ შესვიდი და თქვენ დალოცეთ შარშანდელი თბილისობა!
კაი კაცთან კაი კაცის დამოკერება, ნაღდი ძმობა!
ეგზეიმოთ თბილისობა — კიდევ მილიონნიზობა!
შეიდნახევარ ათეულ წელს შეხედა შარშან ე. ხარაძე! —
თვითონ მზესავე უხარია და ღრუბლებში ვეალარა ქლებს!
ვინც დათვალა ვარსკვლავები, იცის ცაზე სიარულიც,
მო, ხარაძე ვადღეგრძელთ — კაცი ეგეგრნალურო!
დაე, არასოდეს ვიყოთ სიმსუქნისგან დაკრაგნილნი
და დაბეერდეთ სახელოვნად დიდ შანიძე აკაკიეთ!
ნელს ოთხმოცდაათის ხდება დიდი პავლე ინგოროყვა! —
ეაშა მეცნიერებაში მის გმირობა-დიდგორობას!
ოთხმოცი ნლის გახდა შარშან ალექსანდრე ბარამიძე!
ეფინება საქართველოს მისი გულის ალალი მზე!
ლაურეატს ლენინური პრემისა — თაქოაქიშვილს —
ჩვენი ჰიმნის ავტორს, მინსაკოს, ვისი გვარი ბაგმაშეკ „ოს,
პანგაო ნინდიას და ოთარს — ამმლურებელს ათასი ხმის —
ესტუმრეთ და — სულს სიმღერად, გულს ნოტებად გადგიმლეთ!
ნ. დუმბაძეზე, ვინ კარ არის კაცი მინის, — არის ცისა, —
კანონს მარადისობისას და დიდებას ერთად იცავენ!..
ირაკლისთვის — მაგალ შაირს, გრიგოლისთვის — დაბალ შაირს

ნიანგის საახალწლო სანუკვარი

— ალო, რუსთაველის თეატრია?! თქვენი ქირიმე, მითხარით, სად აპირებთ საგასტროლოდ წასვლას, რომ ნინასწარ თავდარეგი დადგინერო, ეგედ იქ მინდე ვნახო თქვენი სპექტაკლები!

ყველას! ყველას! ყველას!

ქართულ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად,
ეიესაც ჩვენი ვაყოფა... და გალთშეა სწყურია,
ან ჭკვიანი მტერი არის, ან უვნური მოყვარე,
ამიტომაც, ადაც წაეწედი, ერთთანად მოვთხარე!

მიყვარს — მტკვარი, მიყვარს — ქსანი,
ტბეტური და ეზეტური! მიყვარს — „ლილე",
მიყვარს — „ლალე", მიყვარს — „ჩელი" მეგრული!..

მაგრამ ყველას მირჩევნია, — ერთ დიდ მეშტად
შეკრული, —
რა თქმა უნდა, — საქართველო! — ვიყოთ მისი ერთგული,
დღეგრძელ იყოს, საქართველოვ, შენი მზე და შენი ცა,
მრავალ ახალ, მრავალ ახალ, მრავალ ახალ წელიწადს!

მურმან ლებანიძე

„რუბაკა" (ეეხოსლოვაკია)

ფრაზები

● თუ ორი პერანგი გაგეს, გამოართვი მეგობარს მეხუთე, რომელსაც მხოლოდ ერთი ჰქონდა!

● ზღვაი შეურაცხოფას ელიაკაზ. ზოგიც — შეურაცხყოფდეს.

● ბაალოგალს მეძინე ხვედრს შეეკოხა და ხეერიოზულად დაშვედა.

● ციფრებზე ენითაც შეიძლება ლაპარაკი თქვა.

უზოოლაბი ენციკლოპედია

ანეკდოტი — მახვიდენერინერება იმათვის, ვისაც იგი არ გაანნა.

ავტორიტეტი — მომავალ საუკუნეთა რომანები.

ბრძენი — ადგილი, სადაც ყველაფერი მეთოდურად იკარგება.

ავტომბურისტი — ადამიანი, რომელმაც 5.000 კილომეტრი მხოლოდ იმისთვის გაიარა, საკუთარი ავტომობილანის ფონზე სურათი რომ გადაეღო.

„ლიტერატურული გაზეთი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცეე დაფერ და ხუფრაზე დაფდგეთ ლენინ, დადგეთ ბანს!
მეჩაიეს ვასმენე ჩანს, მეღვინეს კი ვასმეე ღვინოს! —
მოეკანილი მაათა და ნიანგისგან ერ ენენინთ:
ვადღეგრძელეს პატრიოტან მეღვინეს და მეკენანეს! —
ნლეულს ღვინო, პაერიანი, ვემეხე და ჯერ ვერ ენახე!
ეს ჩვენს სოფლებს გაუმარჯოს, ჩვენს ქალაქებს, ქუჩებს,
შუკებს!..

ვახტანგს — დაეთანიან და ლომს — ეღეუჯა ამაშუკელს!
რ. სტურუას, რ. ჩხეიძეს, თ. ჩხეიძეს, იმათ დასუბს!
ჩვენს ფრაშებს და ჩვენს ორდენებს. ოქროს ბეჭდებს,
ვერცხლის თასებს!..

გაუმარჯოს ბერძენშვილს — კანდაკების მეფე მურამს,
ვინაც ქართულ მუატერიალში დიდებული შეკმნა ერა
და უკდაკი გულა ერის ოეთ ქვაშიე ალგერა! —
მარადისობაში მიაყვეს მზეგმრანი თავის მურანსნ..
მახარაძის გასახარად ლამეების თენეგისთვის
ჩანს ქიქით ვადღეგრძელეს, ელოყვე ოთარ თენეგიშვილს!
გმირი არსენ კობაძე — თავმდგომარე ასე ნალდი —
ზემოქედში ოთხმოცდასამს შეხედა მძლავრი არსენალითან!
გაუმარჯოს ახალ ტრიუმფს მოგაფარაკე ქართველ ქალთან! —
ღვთაებრივი ოთხეული მთელ მსოფლიოს შეუფარნდა!
...ეფერება სტამფიონი — ასი ათას ხმის გრიალით —
„ყოფასნ! ყოფასნ! ყო-ფა-ა-ნ! ყო-ფა-ა-ნ!"
მაინც უნდა სპორტში დარნეს — ნერე გვინასოს ღიპიანი!
სულ აკ ოყოს ყიფიანი — თავის ცისდერეკპიანი!
სხვაა ჯილდო, სხვაა თასი ბერძენეთის ბაატასნ!
მოლოდ ქვეყანა ესალმეთა: „ეს ერთი და სხვა ათასი!"
საჯილდაო ქვა ასნია ჯიფარიძემ „მძიმე ჯვარი"-თ! —
გაიმარჯვა! — გაინალდა უკეფავება ნინასნარი!
კვარცხლბეკეზე დგას, კვარცეცხლს ანთებს კალმით ლაფო
ალდვინიძ,
მეზნებარიდ და საამოდ წერს — ჯერ არვიხგან არსებენელზე!
ლომის თანაკარსკვლავედთან ანამს კაკბრის მეზობლურსა!
ვადღეგრძელეს ჩვენი ერის, ჩვენი ერის მებრძოლ გუშაგს!
კოცონეფთან ამრიალდა ნიჭი ოვეგაზ გამრიალის!
შეკმენნა მარიონეტების თეატრი და — რა თეატრი!
სტენარისტი, რეჟისორი და მნერალი — — ბუდადიდ — —
შერეკილ ბეს მიეყოლვება და ოლიმპის მოაზე ადიან!..
ბავშვებიც და მოხუცებიც, დიდებიც და პატარებიც
გაგეგიგარა კინოფილმმა — თბილმა — ეია მატარანის!
კიეედან ყველა პრიზი ნამოიღო მატარენლეთან! —
ბეასაბელა, ბეაამაკა და ალეკაკონ ნეტარებთან!
ფილმ „ადგილის ფეფის" შემქმნელს, აქ, გიდეურძის ვაქეზ,
ჩოხელს! —
როგორც მწერალს და რეჟისორს, — ოუკი შეეხვდი, — დაეუზოქეს!

●

მე გისურვებთ, მეგობრებო, ერის სადიდებელ შრომას,
ქორნილებს და გამრავლებას, შეილთა, შეილიშეილთა ყოლას!
კარგ ვაეკაცს და კარგ ქალიშეილს — სიღეგ და რძალად, ქმრად
და ეოლად,

„დათა თუთაშხისას" და „ოფალი პატიოსნის" შოგნას!
გამაპრეკვების ეზები ბეკენნდეს! გამარჯვების ეზებით ბეკეელს!
გმირობით და თავდადებით გაგეკეტანოს ყველას ლელო!
ჩვენი დიდი კლასიკოსის მონოდება ვასანოფელთან!
მოეუაროთ საქართველოს! მოეუაროთ საქართველოს!

გ. ფირცხალავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი პოეტები

ლომერ ახვლედიანი

კარლო კალაძე

იური მალაზონია



გია ნადარეიშვილი

ალექსანდრე ღლონტი

ზურაბ წერეთელი



ბორის წიფურია

სერგი ჭილაია

ლომერ ახვლედიანს — დამდგმელ კინოოპერატორს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს

ლომერმან შექმნა მხატვრული სამყარო აპარატითა!
ქართული კინოს სახელი ოპერატულად ადიდა!
მადლობა უთხრა ლონდონმა, პარიზ-მეხიკო-მადრიდმა!
ლომივით იყოს ლომერი! — სხვა არაფერი არ გვინდა!

კარლო კალაძეს — პოეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის — „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატს

შვიდნახევარ ათეულთან ლექსის რაში მიაგელვა
პოეზიის ამ ბერმუხამ, ბუმბერაზმა ნიანგელმა!
აქვს პრემია სასახელო! არავინ ჰყავს მოკამათე —
თბილისის და საქართველოს საპატიო მოქალაქეს!

იური მალაზონიას — მახარაძის რაიონის ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერს

რასაც აკეთებ, — ნაღდია და რასაც ამბობ, — სწორია!
ყველგან კაი ყმად ანთიხარ! მაგონებ ზღაპრულ გოლიათს!
მუდამ მზადა ხარ საბრძოლოდ! დამარცხდე, — არა მგონია!
ვერვინ აგწონოს, გაგზომოს, იური მალაზონიავ!

გია ნადარეიშვილს — საერთაშორისო დიდოსტატსა და საერთაშორისო არბიტრს საჭადრაკო კომპოზიციაში, თბილისის მთავარ ნევროპათოლოგს

სამოცდაოთხი სხვადასხვა გაქვს საპატიო ტიტული,
რკინის ნერვები, მზის გული და ენერგია ბირთვული!
ინყებ და იგებ ყოველთვის ულაჟაზესი სირთულით!
შენ ხარ უზადო ქართველი — ხათელი, ცადაზიდული!

ალექსანდრე ღლონტს — ენათმეცნიერს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორს

სიტყვას ღვთიური ალღოთი გრძნობს საყვარელი ალ. ღლონტი!
რომ საკადრისად შევაქო მე იგი, — სიტყვა არ მყოფნის!
არის ლექსიკის ნატვრისხე! — ასხია ოქროს ნაყოფი!
ვამაყობ მისი აწმყოთი, მყოფადითა და ნამყოთი!

ზურაბ წერეთელს — მხატვარ-მონუმენტალისტს, სსრკ სახალხო მხატვარს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს

არნახული ტრიუმფის ჟამი გიდგას ნანატრი!
გაქვს პრემია-ჯილდოთა და ტიტულთა პარადი!
შენი წონა დღეს არის მილიარდი კარატი!
ეს პლანეტა შენია! (სხვა პლანეტებს არა ვთვლი!)
— ძმაო ზურაბ, სანამდის?
— უკვდავების კარამდი!
კითხვაც კარგად დაგისვი და პასუხიც კარგად თქვი!
გაიხსენე „ნიანგი“, მის ფურცლებზეც განათდი!

ბორის წიფურიას — საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატს

მე ხელთა მაქვს სახელოვან მსახიობთა ორი სია,
იქ, ერთ-ერთში, ასო „წილ“-ზე პირველ ნომრად ბორისია!
იუმორი მეფური აქვს, როლზე გულით მიბმულია!
იმ დღეს ვლოცავ, წიფის გვირაბს რომ გამოსცდა წიფურია!

სერგი ჭილაიას — მწერალს, ლიტერატურათმცოდნეს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორს

მდივან-ვარსკვლავად ბრწყინავდა ჩვენი მწერლობის ცაზედა!
ახლა უნივერსიტეტში განაგებს ერთ-ერთ კათედრას!
კრიტიკაშიც და პროზაშიც პერსონალურად აღზევდა!
ნაღდი მამულიშვილია! — მამული იცნობს ასეთად.
ჭილაიაზე ცუდის თქმას ამქვეყნად ვერვინ გაბედავს!
სიმართლით სერგი იხარებს, დასვა თუნდ სიპსა ქვაზედა!

ნარევი

— მოგვეჭრა თავი და ეგაა! ზემოდან მოუარეთ, თორემ გაგვექცა! ფეხები დაუჭირეთ და მაგრად შეკარით, არ აიწყვიტოს! პირი გაუხსენით, პირი! რას შვრებით, კაცო?! ნესტოებზე მოუჭირეთ ხელი! ფრთხილად, იკბინება! რაღას უყურებთ?!. მიდით!.. აი, ასე!..

აბა, ვის არ დაულევია კიდევ ამ ყანწით ბებია ელპიდეს ბიცოლების სადღეგრძელო?!

●

მეტის მ ო თ მ ე ნ ა აღარ შეიძლებოდა!.. გაცოფებული წამოვარდა და დაარტყა!.. არც ის აღმოჩნდა ჯაბანი! — დროზე გაუსხლტა და აცდენილმა მარჯვენამ ჰაერში გაიშხუილა!..

— დავბერდი ნამდვილად! — გაუელვა უსიამოვნო აზრმა და უმალვე მარცხენა მოიქნია!.. მხოლოდ მეხუთე დარტყმა აღმოჩნდა შედეგიანი — „ტრილიაუზე“ მიჭყლეტილმა ბუზმა ფრთალა გაიქნია და გაქვავდა!..

●

— შალიკო, მანეთი მასესხე!
— ინებე!
— ხვალ დაგიბრუნებ!
— არა გრცხვენია?!
. . .
— შალიკო, მანეთი მასესხე!
— ინებე!
— ხვალ დაგიბრუნებ!
— არა გრცხვენია!
. . .
— შალიკო, მანეთი მასესხე!
— ინებე!
— ხვალ დაგიბრუნებ!
— არა გრცხვენია?!
. . .
— შალიკო, მანეთი მასესხე!
— კაცო, შენ მართლა არა გრცხვენია?!

წარწერა მაღაზიის შესასვლელთან

„მომხმარებელთა თხოვნით, 1-დან 7-მდე, ჩვენს მაღაზიაში ტარდება კეთილსინდისიერი ვაჭრობის კვირეული!“

გამოცანები

დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი!

(ႮႷႶႭ)

ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე.

(ႳႩႡႮႿ)

ვ ა ს ი ლ გ უ რ ა მ ი ს ძ ე ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი
22 წლისაა, სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის IV კურსზე.

ვაქვეყნებთ ნიჭიერი ახალგაზრდის სატირულ-იუმორისტულ ნარევსა და ნახატ-კარიკატურებს.

— მეგობრებო! ამ განსხვავებული სასმისით...

— თუ ძმა ხარ, მაგ თითს ნუ დააწონი ზედ, ცარიელი ძვალია!..

— ჟიგული, შვილო, ამოდი! — ლადა დეიდა და მერსედეს ბიძია მოვიდნენ, თან პატარა ნივა მოიყვანეს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— ქალბატონო, ონკანიდან წყალი თუ წვეთავს, დაგაჯარიმებთ!
— ნეტავ წვეთავდეს და, ჯარიმას ვინ ჩივის!

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

ნიანგის სიმბოლური ნაკრებები

ნიანგი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ესპანეთში ფეხბურთის XII მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს. მას მოეწონა რამდენიმე თამაში, განსაკუთრებით გფრ-ავსტრიის მატჩით აღფრთოვანდა და ასე თქვა: „მზად ვიყავი, სიამოვნებით ჩამეყლაპა ოცდაორივე ფეხბურთელი!“

მოგეხსენებათ, ასეთ დროს ყველა ადგენს სიმბოლურ ნაკრებს და აბა, ნიანგი ვის ჩამორჩებოდა?! თან ერთი კი არა, რამდენიმე ნაკრები დაასახელა:

ა) არკონადა, ალესანკო, ანხელი, ალონსო (ესპანეთი), ამორო (საფრანგეთი), ანტონიონი, ალტობელი (იტალია), არდილესი (არგენტინა), არჩიბალდი (შოტლანდია), ასადი (ალჟირი), ანდრეევი (სსრკ). მწვრთნელი — ახალკაცი.

ბ) ბარატელი (საფრანგეთი), ბრიგელი, ბრაიტნერი (გფრ), ბალი, ბესონოვი, ბოროვსკი, ბლოხინი (სსრკ), ბერტონი (არგენტინა), ბონეკი (პოლონეთი), ბელუმი, ბენსაულა (ალჟირი). მწვრთნელი — ბეარზოტი.

დ) დასაევი, დემიანენკო, დარასელია (სსრკ), დრემლერი (გფრ), დონახიუ (ჩრდ. ირლანდია), დალგლიში (შოტლანდია), დეგიორგი (ავსტრია), დიასი (არგენტინა), დეშრიდვერი (ბელგია), დუარტე (პერუ), დაჰლები (ალჟირი). მწვრთნელი — დერვალი.

ვ) ვან ხატუმი, ვუდვინი (ახალი ზელანდია), ვან დერ ბერგი, ვან მური, ვან დერ მესენი, ვან დერ ელსტი, ვარკო ტერენი (ბელგია), ვენ ტურა (სალვადორი), ვალდანო (არგენტინა), ვუიოვიჩი (იუგოსლავია), ვუდკოკი (ინგლისი). მწვრთნელი — ვენსანი.

მ) მესაროში, მარტოში (უნგრეთი), მილეკამპი (ბელგია), მანსური, მაჯერი, მარზეკანი (ალჟირი), მარინერი (ინგლისი), მიულერი (გფრ), მარადონა (არგენტინა), მილა, მბიდე (კამერუნი). მწვრთნელი — მენოტი.

ს) სტრომშიკი (ჩეხოსლოვაკია), სულაქველიძე, სუსლოპაროვი (სსრკ), სერჟინიო, სოკრატესი (ბრაზილია), სიქსი, სოლერი (საფრანგეთი), სანჩესი, სატრუსტეგი (ესპანეთი), სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), სულთანი (კუვეიტი). მწვრთნელი — სანტამარია.

და ასე შემდეგ, პრაქტიკულად შეიძლება ყველა ასოზე შედგეს შესანიშნავი ნაკრები.

ნიანგს გადაწყვეტილი აქვს, ეს ნაკრებები ერთმანეთს შეახვედროს და გამარჯვებულს გადასცეს პრიზი: ბაჯაღლო მწვანე ოქროსგან ჩამოსხმული საკუთარი ფიგურა!

ნაკრებთა შედგენაში ნიანგს კონსულტაციას უწევდა
ზაზა გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ლაურეატები

როგორც ყველა სოლიდური ჟურნალი, მათ შორის მეც, წლის ბოლოს თვალს გადავავლებ ხოლმე გამოშვებულ პროდუქციას — ჩემს ოცდაოთხივე ნომერს. ამჟამად კი ეს თვალის გადავლება ნამდვილად ნიანგურ-კრიტიკული გამოდგა და აღმოვაჩინე, რომ, თურმე, აქამდე დიდ ცოდვას ჩავდიოდი — გულნატკენს ვტოვებდი ჩემს საუკეთესო ავტორებს— პრემიებს არ ვანიჭებდი (არც მორალურსა და არც მატერიალურს). ჰოდა, წელს ვისწრაფვი, გამოვასწორო ეს ნაკლი და ამიერიდან წლის ბოლოს გამოვყო ყველა, ვინც ერთგულად მემსახურა, მხარში მედგა და მკითხველი გამიხარა კარგი ფელეტონით, მოთხრობით, ლექსით, მოსწრებული ხუმრობით თუ ნახატი-კარიკატურით.

მაშ, ასე, 1982 წლის ჩემი პრემიები და დიდი მადლობა მიენიჭათ:

მ უ რ თ ა ზ ა ბ ა შ ი ძ ე ს — ნახატი-კარიკატურებისათვის;

ნ ო მ ა დ ი ბ ა რ თ ა ი ა ს — ნოველებისათვის— „ორი ნოველა", „...მაშინ მოდით!" „არავინ შემრჩა ირგვლივ!" „გმადლობთ, შალიკო!", „გელოდებით!" (№№2, 3, 10, 14, 16);

ნ ა ზ ი კ ი ლ ა ს ო ნ ი ა ს — რუბრიკით — „სატირულ-ირონიული ლირიკა" — გამოქვეყნებული ლექსებისათვის (№12);

ჯ ე მ ა ლ ლ ო ლ უ ა ს — ნახატი-კარიკატურებისათვის;

გ ი ვ ი ლ ო მ ი ძ ე ს — პოლიტიკური კარიკატურების ციკლისათვის;

ლ ა ლ ი მ ა რ ტ ა შ ვ ი ლ ს — ლექსებისათვის — „პური ჩვენი არსობისა" და „საოჯახო კრების ოქმი" (№№2, 18);

გ ა რ ი მ ე ტ რ ე ვ ე ლ ს — რუბრიკით — „გოლი საკუთარ კარში" — გამოქვეყნებული ფელეტონებისათვის (№№8, 16);

ზ უ რ ა ბ ქ ა ჯ ა ი ა ს — რუბრიკით — „გოლი საკუთარ კარში" — გამოქვეყნებული ფელეტონებისა და ნოველისათვის — „ქრთამი ავანსად" (№№8, 9, 16);

ჯ ა ნ ს უ ღ ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ს — ლექსისათვის — „პირისპირ მაიაკოვსკისთან" (№ 11);

ტ ა რ ი ე ლ ჭ ა ნ ტ უ რ ი ა ს — იუმორესკებისათვის — „ადამიანი ფიქცია", „ინტერვიუ ექსდეზერტირთან" და ლექსებისათვის (№ 13);

ა ლ ე ქ ს ი ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ს — ქართული ხალხური იუმორის ციკლის — „ვიცინოთ ერთად!" — დამუშავებისათვის და ლექსისათვის — „კითხვა-პასუხი" (№21).

ნიანგი ერთხელ კიდევ ულოცავს პრემიებსა და ახალ წელს თავის ლაურეატებს და იმედი აქვს, რომ საგაისოდ, რაკი სისქეში მოიმატა, ლაურეატთა რიცხვსაც გაზრდის!

მურთაზ აბაშიძე



ნომადი ბართაია

ნაზი კილასონია



ჯემალ ლოლუა

გივი ლომიძე

ლალი მარტაშვილი

გარი მეტრეველი

ზურაბ ქაჯაია

ჯანსუღ ჩარკვიანი

ალექსი ჭინჭარაული



ტარიელ ჭანტურია

7-83 83-67

ნახ. დ. ერისთავისა

ბოჭი — ინდაურს: ეტყობა, ჩვენმა ფასმა გაუხეთქა გული!..

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №1 (1634) იანვარი. გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარი - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (პასუხისმგებელი მდივანი), **გიგლა ფირცხალავა, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ვაჟა ჭანიშვილი** (მთავარი რედ. მოადგილე), **ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 7. 12. 82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 1. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90¹/, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 2904, უე 13289, ტირაჟი 136.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი, №42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137